ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 38

31 იანვარი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15.00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, ხაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ბოთერაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევისპირის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბერთუბნის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პეტრე გამჯაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის თამაზ ძიძიგურის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის ქუჩისთვის, მასთან არსებული I ჩიხისთვის და I შესახვევისთვის ციურიხის სახელის მინიჭების შესახებ

6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე ბახაგაძის IV ჩიხის ძიძდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბახვა გოგოლაძის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ექიმის, მეცნიერის თეხგიზ გაზდელიანის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იუნკერის ნიკოლოზ კალანდარიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, წყაროს ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის წყაროს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის ქუჩის მონაკვთისთვის, ციხისძირის V გასასვლელისთვის და დიდგორის II ჩიხისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ზაურ მახარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

12. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კოტე ხიმშიაშვილის ქუჩისთვის დოდო და კოტე ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ

13. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მამუკა ბეინაშვილის ქუჩის გაგრძლების შესახებ

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი თარხნიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის გაგრძელების შესახებ

16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის გიორგი ჭყონდიდელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს. თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიის მიერ ადგილზე ხდება უსახელო ტერიტორიის დათვალიერება და რა თქმა უნდა იმ მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება, რომელთაც კომისიას სახელდების მოთხოვნით მომართეს.

პრობლემების აღმოფხვრის და უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიზნით კომისია თანამშრომლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო და იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურებთან. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისია ასევე აქტიურად თანამშრომლობს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან. სწორედ ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი ომში დაღუპული გმირის სახელობის ქუჩა გაცოცხლდა თბილისის ქუჩებში.

კომისიის სხდომაზე დედაქალაქის ქუჩებისთვის, სკვერისთვის და მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების: გიორგი ბოთერაშვილის, პეტრე გამჯაშვილის, ბახვა გოგოლაძის, გიორგი თარხნიშვილის, იუნკერ ნიკოლოზ კალანდარიშვილის და ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ზაურ მახარაშვილის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს უკვე სახელდებულ ქუჩებთან განვითარებული უსახელო ჩიხების, შესახვევების და გასასვლელების შესახებ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო და განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში ახლად განვითარებული ჩიხი, შესახვევი ან გასასვლელი ინარჩუნებს ძირითადი ქუჩის სახელს.

სხდომის თავმჯდომარის ინფორმაციით, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას კომისიას სურს ექიმის, მეცნიერის თენგიზ გაზდელიანის სახელი მიანიჭოს. კომისიის წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში დედაქალაქს ასევე ხელოვნების (დავით ჯავრიშვილის) და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლების (დოდო და კოტე ხიმშიაშვილების) სახელები შეემატება.

თინათინ ნიბლოშვილმა გლდანის რაიონში, ხევისპირის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბერთუბნის სახელის მინიჭებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ

კომისია აგრძელებს მუშაობას დედაქალაქის ქუჩებისთვის ტოპონიმური სახელწოდებების შენარჩუნება-გამოვლენასა და აღდგენის მიმართულებით.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი